პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 228 (4222)

1970 წ. 21 ნოემბერი. შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „თბილისი" — პირველ ჯგუფში

გუნდში იყვნენ კლიმენტიევი, ბორდიევი, კრასნოვი, ზელინსკი...

ჩარასანი, 20 ნოემბერი. აქ დამთავრდა საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი II ჯგუფის გუნდებისთვის წყალბურთში მოტორბოლში. გამარჯვებული კოლექტივი გაისიდან I ჯგუფში ასპარეზობის უფლებას იღებდა. როგორც ცნობილია, II ჯგუფის გუნდების წინასწარი ტურნირები იგნისსა და იელისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა. აქ თავი მოიყარეს ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა: როვნოს, ტოლიატის, მოსკოვისა და თბილისის კოლექტივებმა.

„თბილისის" სადებიუტო გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. კლიმენტიევი, ვ. ბორდიევი, ა. კრასნოვი და ზ. ზელინსკი, ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩაატარა, რითაც გამარჯვება და პირველ ჯგუფის საგზური დაისაკუთრა.

## საქართველოს ჩემპიონები ტყვიის სროლაში


გ. თავდიშვილი


ლ. კუდრიავცევა


ვ. სალუქვაძე


ნ. კაბოსნიძე


ვ. ბუჩუკური


ს. ბუჩუკური


ვ. ლაქესკი


ლ. ალიხანოვა


ა. მალხასიანი


ვ. კანკოვი


ი. აბაჯიანი

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... $19^{45}$**

◆ კლუჟი, 20 ნოემბერი. ხელბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში „კარპატის თასზე" დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი — რუმინეთის ნაკრები, რომელმაც III ტურშიც გაიმარჯვა, ამჯერად უნგრეთის ეროვნულ გუნდთან დაამარცხა — 17:15 (7:6). საბჭოთა გუნდმა ფრედ ითამაშა იუგოსლავიის ნაკრებთან — 13:13 (6:6), ხოლო გდრ-ის გუნდმა სძლია რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებს — 14:13 (7:8). თასის ბედი რუმინეთისა და იუგოსლავიის კოლექტივთა დასკვნით მატჩში გადაწყდება.

## გამოსათხოვარი საჩუქარი — გამარჯვება

**კონაკრი, 20 ნოემბერი.** მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს მწვრთნელი ა. ზასუხინი, როცა მისი აღსაზრდელებმა რინგზე გამარჯვება მოიპოვეს. არაჩვეულებრივი თითქმის არაფერი მომხდარა. საქმე ისაა, რომ მოსკოველი სპეციალისტი გვინეის სპორტსმენებს წვრთნიდა, რომლებმაც ამ შეჯიბრებაში ზემო ვოლტის წარმომადგენლები დაამარცხეს.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ზასუხინი რამდენიმე წელზე მეტს მუშაობდა გვინეაში, რათა თავისი მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდა მოკრივეებისთვის გადაეცა.

ზასუხინი სამშობლოში ბრუნდება. გვინეელთა გამარჯვება ამ მატჩში ანგარიშით 6:1 მწვრთნელისთვის საუკეთესო გამოსათხოვარი საჩუქარი იყო.

## სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშები

### დარჩა 2 ტური

**ლუცკი, 20 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** სასოფლო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ხელბურთელთა საკავშირო ფინალური ასპარეზობის პირველ დღეს განსაკუთრებით საინტერესო იყო მოლდაველთა და რსფსრ-ს კოლექტივების მატჩი, რომელიც დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოლდაველთა გუნდის გამარჯვებით (25:23) დამთავრდა.

საქართველოს ნაკრებმა წააგო უკრაინის გუნდთან — 14:18, სომხეთის კოლექტივი დამარცხდა ესტონეთის წარმომადგენლებთან — 18:24.

მეორე დღეს უკრაინელებმა მორიგი მოგება იზეიმეს: ამჯერად სომხეთის ხელბურთელები დაამარცხეს — 28:19.

საქართველოსა და მოლდავეთის კოლექტივების შეხვედრაში ქართველებმა ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს — 22:20. ესტონეთისა და რსფსრ-ს გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 21:21.

ასპარეზობის მესამე დღეს საქართველოს სპორტსმენები რსფსრ-ს ხელბურთელებს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 23:18. უკრაინელებმა მოიგეს ესტონელებთან (27:23) და ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. მოლდაველებისა და სომხეთის სპორტსმენთა მატჩი ფრედ (14:14) დამთავრდა.

გათამაშების ცხრილში საქართველოს გუნდი 4 ქულით II ადგილზეა. მოლდავეთისა და ესტონეთის კოლექტივებს 3-3 ქულა აქვთ, რსფსრ-ისა და სომხეთის გუნდებს — თითო.

საქართველოს ხელბურთელები დღეს ესტონელებს, ხვალ კი სომხეთის სპორტსმენებს ხვდებიან.

ჯ. ენუქიძე.

### სხვა ქალაქებში

სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს სოფლის საკავშირო თამაშები. ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

### ფრენბურთი

ფრენბურთელი ქალები პიარნუში ასპარეზობენ, ხოლო ვაჟები — ვილიანდიში. ჩვენმა ქალთა გუნდმა პირველი შეხვედრა წააგო აზერბაიჯანის ნაკრებთან — 0:3, მეორე ტურში კი დაამარცხა ლიტველები — 3:1. ვაჟებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს უზბეკეთის წარმომადგენლებს — 3:2.

### ჭადრაკი

ბელციში მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრების პირველ ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მოლდაველებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 2,5:1,5. ესტონეთისა და რსფსრ-ს ნაკრებთა შეხვედრის ანგარიშია 2:1 ესტონელთა სასარგებლოდ. ყაზახეთის კოლექტივი უგებს ლატვიელთა გუნდს — 2,5:0,5.

## რეკორდი დამყარდა... ბაროკამერაში

22 წლის პ. შემენმა და 25 წლის ბ. რუიემ დაამყარეს მსოფლიო რეკორდი ყვინთვაში — 460 მ. მართალია, ამისთვის მათ ამ სიღრმეზე ჩასვლა არ დასჭირვებიათ: რეკორდი დამყარდა ბაროკამერაში, სადაც სპორტსმენებმა შესაბამის წნევას გაუძლეს.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, რეკორდები დამყარდა მარსელში სწავლულთა ხელმძღვანელობით, რომლებიც საზღვაო პრობლემებზე მუშაობენ. შემდეგ ორივე „მყვინთავმა" დღე-ღამე კესონის კამერაში გაატარა. ახლა სპორტსმენები ახალ სიმაღლეზე „ჩასაშვებად" ემზადებიან.

ძველი მიღწევა — 457 მ — ეკუთვნოდათ ინგლისელ მეზღვაურებს ჯ. ბივენსა და პ. შარპოუზს.

## ახალი ამბები

● **ნალჩიკი, 18 ნოემბერი.** აქ გაიმართა რსფსრ-ს „ა" კლასის II ჯგუფის ზონებში გამარჯვებული 4 გუნდის ტურნირი. იაროსლავლის „შინიკი", კემეროვოს „კუზბასი", იოშკარ-ოლას „სპარტაკი" და ადგილობრივი „ავტომობილისტი" იბრძოდნენ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ტურნირი წარმატებით განვლო „ავტომობილისტმა", რომელმაც I ადგილი დაიკავა.

● **ტალინი, 19 ნოემბერი.** აქ დაიწყო სსრ კავშირის XVI ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 18 სპორტსმენი, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონი ანდრეიკო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები შჩოგოლევი და კუპერმანი, სსრ კავშირის ჩემპიონი განტვარგი, საერთაშორისო ოსტატები კორხოვი, კაპლანი და სხვ. 2 ტურის შემდეგ ტურნირს ერთბაშად ექვსი მოშაში ლიდერობს. ესენი არიან: ანდრეიკო, შჩოგოლევი, კორხოვი, მერინი, დავიდოვი და რატსი, რომელთაც 1,5-1,5 ქულა აქვთ.

● **მოსკოვი, 19 ნოემბერი.** დედაქალაქის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა დღეს აქ პრაღის გუნდს უმასპინძლა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 18:6 (12:1). სტუმრები მოსკოვში კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ.

● **კლუჟი, 19 ნოემბერი.** რუმინეთის ამ ქალაქში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „კარპატის თასზე", რომელშიც მონაწილეობენ გდრ-ის, იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. პირველ დღეს საბჭოთა ხელბურთელებმა ძნელ ბრძოლაში სძლიეს უნგრელებს — 23:22 (12:7), მეორე შეხვედრა კი წააგეს რუმინელებთან — 11:18 (5:8). ამ დღეს გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: იუგოსლავია — რუმინეთი (ახალგაზრდული) 14:13 (7:5), გდრ — უნგრეთი 19:18 (8:10). საბჭოთა ნაკრებს უმთავრესად მოსკოვის „კუნცევოს" ხელბურთელები შეადგენენ.

ახალი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტრადიცია აღორძინდა

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთამსვლური სექციის მიერ მოწყობილი მასობრივი ასვლა მწვერვალ ორწვერზე (4350 მ).

წლების მანძილზე ინსტიტუტში აღიზარდა ბევრი გამოჩენილი მთამსვლელი, რომელნიც წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობისა თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. რესპუბლიკაში კარგად არიან ცნობილი ინსტიტუტის კლდეზე მცოცავნი. ამჟამად კლდეზე ცოცვის სექციაში 20-მდე თანრიგოსანი მთამსვლელია გაერთიანებული, რომელთაგან ბევრი საქართველოსა და „ბურევესტნიკის" ნაკრები გუნდების წევრია.

რექტორატისა და ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უშუალო დახმარებით წლეულს სტუდენტებმა შეიძინეს მთამსვლურ ბანაკ ტილამას საგზურები, სადაც ბევრი ნიშნოსანი და თანრიგოსანი მომზადდა. სტუდენტი მთამსვლელები გაეცნენ სვანეთის ღირსშესანიშნაობებს. თანრიგოსნებმა ერთი თვე გაატარეს ჩრდილოეთ კავკასიის ბანაკ ბეზინგში, სადაც უმაღლეს მთამსვლურ ტექნიკას ეუფლებოდნენ.

მასობრივი ასვლისთვის მზადება 1 სექტემბერს დაიწყო, 21 სექტემბერს კი 30 სტუდენტი და პედაგოგი, რომელთა შორის 8 ქალი გახლდათ, დაბა ყაზბეგისკენ გაემგზავრა. ძირითადი ბანაკი სამების მთაზე მოეწყო, შემდეგ კი მთამსვლელებმა ყაზბეგის მეტეოსადგურში გადაინაცვლეს. ამინდი ხელს არ უწყობდა მოლაშქრეებს, მძვინვარებდა ციკლონი, გერგეტის ყინვარი თოვლით დაიფარა, გაძნელდა ახალ თოვლში სიარული, ნისლსა და ქარში გზის გაგნება. ოთხი დღის მანძილზე, სანამ ძლიერი ქარი ჩადგებოდა, ლაშქრობის მონაწილენი მეტეოსადგურში მომზამთრეთა სტუმრები იყვნენ.

1 ოქტომბერს ასვლის 30 მონაწილემ მ. ქირიკაშვილის, ტ. ლეკაშვილისა და ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით ორწვერზე მიიტანა იერიში. 2 საათზე ალპინიადის ყველა მონაწილე მწვერვალზე იყო, საღამოს კი მეტეოსადგურში ერთმანეთს ულოცავდნენ პირველი მწვერვალის დაპყრობას.

მონაწილეთა შორის იყვნენ პედაგოგები რ. სოხაძე და რ. სურამელაშვილი, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ალპინიადის წარმატებით დამთავრებაში.

ლაშქრობის ყველა მონაწილემ სსრ კავშირის მთამსვლელის ნიშანი მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ალპინიადები ინსტიტუტს 1965 წლის შემდეგ არ ჩაუტარებია.

ალპინიადას დიდად დაეხმარნენ ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბი და თბილისის მოზარდთა მთამსვლური სპორტული სკოლა, რომლებმაც მთამსვლური საჭურველით მოგვამარაგეს.

ინსტიტუტის მთამსვლურ სექციას მომავალშიც ბევრი საინტერესო ღონისძიების განხორციელება აქვს დაგეგმილი.

ლ. გურჩიანი,
სპორტის ოსტატი, ალპინიადის საერთო ხელმძღვანელი.

# ათი გამარჯვებით

ტყიბულის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივი სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხის, ჭიათურის მეშახტეთა და შახტმშენებელთა ნაკრები გუნდები.

ფრენბურთელთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტყვარჩელისა და ტყიბულის ქალთა და ვაჟთა კოლექტივები. ტყვარჩელელმა ქალებმა მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ძლიეს მეტოქეს და პირველობაც დაისაკუთრეს. რეფანში ტყიბულელმა ვაჟებმა აიღეს. მათ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 2:1.

გზატკეცილზე 25 და 50 კმ-ზე ველორბოლაში გაიმარჯვეს ტყვარჩელელმა სპორტსმენებმა. II ადგილზეა მაჰინძელთა კოლექტივი, რომელიც ჩემპიონებს ოდნავ ჩამორჩა.

ტყიბულელმა მოჭადრაკეებმა ფინალში დაამარცხეს ჭიათურელი კოლეგები და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

მცირეკალიბრიანი შაშხანითა და პისტოლეტით სროლაში ტყიბულელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ 1070 ქულა მოაგროვეს და უახლოეს მეტოქეს — ტყვარჩელელ მსროლელებს 470 ქულით აჯობეს. III ადგილზეა ჭიათურელთა კოლექტივი.

ტყვარჩელისა და ტყიბულის მოჭადრაკეებმა დაძაბული ბრძოლა გამართეს. პირველ დღეს ანგარიში იყო 2:1 ტყიბულელთა სასარგებლოდ. გამარჯვების ბედი გადადებულ პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ტყვარჩელელთა გუნდის ხელმძღვანელმა გ. არდიამ გადადებული პარტიის გარჩევის შემდეგ პირველობა შეხვედრის განუახლებლად მიულოცა ტყიბულელ მოჭადრაკეებს. III ადგილზე გავიდნენ ჭიათურელები.

მასპინძლებმა მძლეოსანთა შეჯიბრებაშიც ყველას აჯობეს. სამწუხაროდ, მოასპარეზეთა ტექნიკური შედეგები დაბალი იყო.

ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში შეხვედრები პიონერთა სასახლის საატო დარბაზში ჩატარდა. ტყიბულელებმა დიდი ნებისყოფა და გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს. ფინალში მათ ტყვარჩელის ძლიერი გუნდები დაამარცხეს.

ქართულ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ბოგაჩოვი, ო. ჯობავა, ვ. ადლეიბა (ყველა — ტყვარჩელი), გ. ჯიმიაშვილი, ო. ხვადაგიანი, ე. ვასტიანი, რ. წკრიალაშვილი და ბ. ლომიძე (ყველა — ტყიბული).

თავისუფალ ჭიდაობაში იმარჯვეს რ. წკრიალაშვილმა, გ. ჯიმიაშვილმა, მ. ხვადაგიანმა, ზ. მამრიკიშვილმა, ნ. ლანჩავამ (ყველა — ტყიბული), გ. გოროზიამ, ა. ბოგაჩოვმა, დ. ხარჩილავამ და ვ. ადლეიბამ (ყველა — ტყვარჩელი).

ტყიბულელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მათს მწვრთნელს, ვეტერან მოჭიდავეს, სპორტის ოსტატ ლ. ჭანტურიას, რომელმაც გუნდები კარგად მოამზადა სპარტაკიადისთვის.

წავიდის ჩოგბურთში პირველობა ტყვარჩელის გუნდმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ ტყიბულის, III — ჭიათურის სპორტსმენები.

ტყიბულის კალათბურთელმა ვაჟებმა პირველ ტურში სძლიეს ჭიათურის ნაკრებს (81:65), ხოლო შემდეგ ტყვარჩელის გუნდიც დაამარცხეს (54:37) და ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ძალოსანთა ტურნირი შახტმშენებელთა ინტერნატის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა და ტყიბულელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ 8 წონით კატეგორიაში მოიპოვეს პირველობა.

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა („განთიადის" მეორე გუნდი) ასტრონომიული ანგარიშით (20:1) დაამარცხეს ახალციხის სპორტსმენები, ხოლო ფინალში მოუგეს ტყვარჩელის წარმომადგენლებს (6:0).

ამრიგად, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული 12 სახეობიდან ტყიბულელებმა ათში გამარჯვება იზეიმეს და მხოლოდ ორ სახეობაში დაუთმეს პირველობა ტყვარჩელელებს.

ტყიბულის გუნდები დაკომპლექტებული იყო ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის სახელობის შახტების, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, მუშათა მომარაგების სამმართველოსა და შახტმშენებელი სპორტსმენებით. აღნიშნულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა შეჯიბრების მონაწილეებს ყოველნაირად შეუწყვეს ხელი.

სპარტაკიადა ორგანიზებულად ჩატარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით „განთიადის" ტყიბულის საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ე. ბაქრაძე) და სტალინის სახელობის შახტის სტადიონის დირექციას (დირექტორი ნ. ბოჭორიშვილი).

ზ. ჯორჯაძე.
(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

## [illegible]

### ✦ გორი

ქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში 20 კაცი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა შ. თოთლაძემ და გ. მუკნიაშვილმა — 17-17 ქულა. III ადგილი დაიკავა გ. კუთარაშვილმა — 14,5. IV-V ადგილები გაიყვეს დ. კველიშვილმა და გ. მთვარელიძემ — 13,5-13,5. საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურები თოთლაძესა და მუკნიაშვილს ხვდათ. პირველობის საზეიმო დახურვისას გაიმართა ელვისებური თამაშის ტურნირი. აქაც იმარჯვა თოთლაძემ, რომელმაც I ადგილი დაიკავა — 13 ქულა 15-დან.

გ. გოზალიშვილი.

### ✦ ყვარელი

შილდის მე-2 საშუალო სკოლაში კარგადაა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, მუშაობს ფრენბურთის, კალათბურთისა და მძლეოსნობის სექციები. სკოლის ფიზკულტურელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში.

ელიზა ზუბიტაშვილი,
შილდის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

# დახურული კორტი რიკაობისთვის



დოსაავის ტულის საოლქო ორგანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესოა სსრ კავშირში. ქალაქის საწარმოების ასობით ახალგაზრდა მუშა და სტუდენტი გატაცებით მეცადინეობს რადიოკლუბში, საპარაშუტო, სათვითმფრინავო და სხვა სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. წლეულს ტულის დოსააველები სსრ კავშირის სხვა ხუთ საუკეთესო ორგანიზაციას შორის ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ.

ს უ რ ა თ ზ ე: ტულის აეროკლუბის აღზრდილი, სპორტის ოსტატი ლ. ლეონოვა, რომელმაც წლეულს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა სათვითმფრინავო სპორტის ნებისმიერ კომპლექსში.

პ. მასლოვის ფოტო (საკდესი).

მოსკოვი, 19 ნოემბერი. „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე გადახურეს ორი მოედანი რიკაობისთვის. ახლა კომუნარსკის, რიგისა და ნოვომოსკოვსკოეს რიკაობის მოყვარულთა მსგავსად, მოსკოველებსაც შეუძლიათ მთელი წლის მანძილზე ასპარეზობა და ვარჯიში.

„დინამოს" მოედნებზე სსრ კავშირში პირველად გამოიყენეს მემბრანული სახურავი. სწორკუთხა „გუმბათი", რომლის საერთო ფართობიც 780 კვ მეტრია, ოთხ ლითონის ბოძსა და საყრდენზე დამაგრებული. მემბრანის წონა 50 ტონაა.

ეს ეკონომიური ხერხი შეიძლება შემდეგში გამოყენებულ იქნეს უფრო დიდი შეჯიბრებებისთვისაც. პროექტის ავტორებს ი. ლიუდკოვსკის და ნ. მოსკალიოვს უკვე შესაძლებლად მიაჩნიათ სახურავი გაუკეთდეს 70×70 მეტრის ფართობის მქონე სათამაშო მინდორს. მაშასადამე, ალბათ სტადიონების გადახურვაც გაცილებით უფრო იაფი იქნება და სწრაფადაც მოგვარდება.

ვ. პიმენოვი.

## საქმის კურსისათვის

# გაკვეთილის მაგიერ... ფეხბურთი

ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებსა მართლაც შეშურდებათ მათს თანატოლებს: იქვე სკოლასთან აქვთ სტადიონი; შეუძლიათ დილით სპორტსკოლის დარბაზშიც შეიარონ. მაგრამ... ბავშვები იშვიათი სტუმრები არიან ამ ბაზებისა. რატომ?

მოდით IV[a] კლასის ფიზკულტურის გაკვეთილზე შევიხედოთ. მასწავლებელმა ს. სიროტინმა 17 ბიჭს ერთი ბურთი მისცა და შემდეგ მოკრძალებულად დატოვა სასკოლო მოედანი. დიდი საფეხბურთო ბატალიები დაიწყო. მეოთხეკლასელები 45 წუთის მანძილზე ფეხსაცმელებსა და ყელსახვევებში გამოწყობილი დასდევდნენ ბურთს, დატოპავდნენ გუბეებში, თამაშით გახურებულნი იქვე ცივ წყალს ეწაფებოდნენ და, რასაკვირველია, ჩხუბობდნენ კიდეც.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაკვეთილის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ვნახე, მაგრამ იგი მოსწავლეების შესამოწმებლად არ მოსულა. უბრალოდ, სამი ბიჭი რაღაც საქმეზე, მგონი, ქაღალდის გადმოსატანად წაიყვანა. ასე ჩატარდა ფიზკულტურის გაკვეთილი.

როცა ვთხოვე გაკვეთილის კონსპექტი ეჩვენებინა, ს. სიროტინმა მიპასუხა შრომის უფროსის აღრიცხვის ფურცელზე ვარო, მაგრამ იმ დღეს ხომ სკოლაში იყო და თვითონ მისცა ბავშვებს დავალება.

ძნელი სათქმელია, ექნებათ თუ არა ფიზკულტურული მეცადინეობის დიდი სურვილი და სპორტის სიყვარული ასეთი მასწავლებლის მოწაფეებს... ამასთან, ბავშვებმა მითხრეს, რომ სექტემბრიდან ფეხბურთი მათთან ფიზკულტურის ყოველ გაკვეთილზე იმართება.

ვინ არის დამნაშავე, რომ სწავლების სახელმწიფო პროგრამა ირღვევა?

ვფიქრობთ, ამ საქმეს დროით უნდა მიაქციონ ყურადღება რაიონის განათლების, სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების მესვეურებმა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ბორჯომის რუსულ საშუალო სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების დაბალი დონის „ობიექტურ" მიზეზებზე. მართალია, ძალიან ცუდია, როცა სპორტული დარბაზი თვალსაჩინო ხელსაწყოების საწყობადაა გამოყენებული. ბორჯომის საკურორტო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კონტორა მეორე წელია არ ზრუნავს სკოლის კალათბურთის მოედნის მოწესრიგებისთვის. მაგრამ საკითხავია, რატომ ურიგდება სკოლა (დირექტორი ა. კეშიშევი) თუნდაც იმ ამბავს, რომ მეორე წელია გასახდელები ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკას უჭირავს?

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბორჯომი.



## ეს არ მაკმაყოფილებს

## ეს არ გვაკმაყოფილებს

საჩხერის რაიონში სოფ. ხავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ბერიძე) ერთ-ერთი მოწინავეა.

კოლმეურნეობაში ბევრია ფიზკულტურით დაინტერესებული ახალგაზრდა, მაგრამ მათს გატაცებას ხელს არ უწყობენ. სოფლის ფეხბურთის მინდორი მოუვლელია, გამგეობის ხელმძღვანელობა კი არ ფიქრობს სარბიელის შეკეთებასა და შემოღობვას.

სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობაშია ფრენბურთის, კალათბურთისა და სხვა მოედნები, სარბენი ბილიკები და სახტომი ორმოები.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.




სსრ კავშირის პირველობა

II ზონის I ქვეჯგუფი

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 34 | 18 | 10 | 6 | 55—28 | 46 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 34 | 16 | 13 | 5 | 44—33 | 45 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 34 | 16 | 11 | 7 | 49—23 | 43 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 34 | 18 | 7 | 9 | 41—29 | 43 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 34 | 15 | 11 | 8 | 53—32 | 41 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 34 | 17 | 7 | 10 | 53—37 | 41 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 34 | 11 | 19 | 4 | 42—28 | 41 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 34 | 12 | 14 | 8 | 38—31 | 38 |
| „კახეთი" (თელავი) | 34 | 16 | 5 | 13 | 38—29 | 37 |
| „სულორი" (ვანი) | 34 | 13 | 7 | 14 | 29—44 | 33 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 34 | 9 | 14 | 11 | 42—32 | 32 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 34 | 10 | 10 | 14 | 23—36 | 30 |
| „დინამო" (სოხუმი) | 34 | 9 | 11 | 14 | 31—37 | 29 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 34 | 9 | 11 | 14 | 26—36 | 29 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 34 | 9 | 6 | 19 | 29—65 | 24 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 34 | 6 | 8 | 20 | 24—52 | 20 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 34 | 7 | 6 | 21 | 25—56 | 20 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 34 | 4 | 10 | 20 | 16—18 | 18 |



## საიუბილეო ტურნირი

გრძელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირი. 19 ნოემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის მეორე ნაკრები და საქართველოს პირველობაში მონაწილე ფეხბურთელთაგან შემდგარი მეორე გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს „ბ" კლასის წარმომადგენლებმა.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა ორი შეხვედრა. „ბ" კლასის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 8:1 მოუგო საქართველოს ჩემპიონატის პირველ ნაკრებს. „იმედის" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის „დინამოს" დუბლიორებს. დინამოელებმა მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს — 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბ" კლასის II ნაკრები | 3 | 3 | 0 | 0 | 8—3 | 6 |
| „დინამო" (დუბლიორები) | 3 | 3 | 0 | 0 | 7—2 | 6 |
| „ბ" კლასის I ნაკრები | 3 | 1 | 1 | 1 | 4—3 | 3 |
| საქ. ჩემპ. II ნაკრები | 3 | 0 | 1 | 2 | 3—5 | 1 |
| „იმედის" ნაკრები | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| საქ. ჩემპ. I ნაკრები | 3 | 0 | 1 | 2 | 2—7 | 1 |

## „ივერია" — I ჯგუფში

18 ნოემბერს ძალიან საინტერესო მატჩი შედგა თბილისის „სინათლის" სტადიონზე. საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად იბრძოდნენ ხაშურის „ივერია" და ხობის „კოლხეთი", რომლებმაც რესპუბლიკური გათამაშების მეორე ჯგუფის ზონებში I ადგილები დაიკავეს.

საერთო უპირატესობა თავიდანვე „ივერიას" ჰქონდა. ხობელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა და ძელმა ორჯერ იხსნა გუნდი გოლისგან. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა ხაშურელთა ნახევარმცველმა კობერიძემ, მერე კი ლომსაძემ მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 2:0.

ამ გამარჯვებით ხაშურის „ივერიამ" გაისად საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ო. ნოზაძე.

# მოკრივემ, რომელმაც წააგო...

რა დასამალია, სპორტული მიმომხილველებისა და გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში მუდამ ასპარეზობაში გამარჯვებული სპორტსმენები არიან. მათზე გულთბილად, ხშირად აღფრთოვანებითაც წერენ. ასეთ შეფასებას ეს სპორტსმენები, რა თქმა უნდა, იმასხურებენ. გამარჯვების მოპოვება უფრო და უფრო ძნელი ხდება. დიდი შეჯიბრებების მონაწილეთა კლასი თვალსაჩინოდ ამაღლდა. გულშემატკივრებზე რომ არაფერი ვთქვათ, ზოგჯერ სპეციალისტებიც კი ფიქრობენ: სპორტსმენმა მაქსიმალური შედეგი უჩვენა, ეს არის და ეს, ამ შედეგს ვეღარავინ გააუმჯობესებსო. ასეთ პროგნოზებს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი დღე არ უწერია. შესაძლოა ჩვენ რამდენადმე ავცდით საკითხს, მაგრამ ერთი კია: დამარცხება ხშირად... გამარჯვების ტოლფასია. პარადოქსია? სრულიადაც არა.

კრივში გამარჯვება არ იზომება წამებით, მეტრებით, კილოგრამებით... აქ წინა პლანზე გამოდის სპორტსმენის საერთო კლასი, მისი სწრაფვა გამარჯვებისაკენ და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური ფაქტორი. ყოველივე ეს გვინდა დავუკავშიროთ თბილისისა და დონის როსტოვის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ახლახან გამართულ სამატჩო შეხვედრას, კერძოდ, ამ ასპარეზობის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ და, შეიძლება ითქვას, დრამატულ ორთაბრძოლას. შესაძლოა თბილისის ცირკში მოსულ ბევრ გულშემატკივარს მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრა ჯეკ ლონდონის ცნობილ მოთხრობას „მექსიკელს" აგონებდა (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ამ ნაწარმოების მხოლოდ სპორტულ მხარეს), მაგრამ ასე არ იყო.

მსაჯმა-ინფორმატორმა სარბიელზე უხმო როსტოველ ბ. ბარანიკოვსა და თბილისელ ი. მილიუშკოვს. ამ დროისთვის მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო. თბილისელები თავიანთ მეტოქეებს დამაჯერებელი ანგარიშით (8:2) უსწრებდნენ და ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა კრივის სამყაროში ნაკლებად ცნობილი თბილისელი პირველთანრიგოსანი გამკლავებოდა მრისხანე როსტოველი ოსტატის იერიშებს. როსტოველის მხარეზე იყო დიდი გამოცდილება, ხანიმუშო ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება. სწორედ ამ თვისებებმა მოუტანა ბარანიკოვს საყოველთაო აღიარება. იგი დიდი წარმატებით გამოდის არა მარტო საკავშირო ტურნირებში, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც. ახალგაზრდა ოსტატმა ჯერ კიდევ 1968 წელს გაიმარჯვა მექსიკაში გამართულ „ოლიმპიურ კვირეულში", რაც უდავოდ მის მაღალ საერთაშორისო კლასზე მეტყველებს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ბარანიკოვმა მოიგო ყველა საერთაშორისო შეხვედრა და უმეტესობა — ნოკაუტით...

რა შეეძლო დაეპირისპირებინა ჭაბუკ თბილისელ მოკრივეს ბარანიკოვის გამარჯვებათა ასეთი ნუსხისთვის? ალბათ, ენთუზიაზმი, სიმამაცე და თავგამეტება. წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ იმ საღამოს მილიუშკოვი ყველა ამ თვისებით იყო შემკული. მაგრამ ამ ღირსებებს მან დაუმატა ტაქტიკურად გააზრებული ბრძოლის ნახაზი, გამრავლებული კარგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. და მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ბრძოლა იყო თანაბარი, აღსავსე დაძაბული მომენტებით, სადაც ძნელი გახლდათ გამარჯვებულის გამოცნობა. იყო წუთები, როცა ბარანიკოვი თავდაცვისთვის ზრუნავდა, როცა თბილისელი მოკრივის იერიშები ერთიმეორეს მისდევდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ იერიშებს კარგი დაბოლოება აკლდა. ინიციატივას მაინც როსტოველი ოსტატი ფლობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი არ დაბნეულა, თუმცა აშკარად არ მოულოდა ასეთ მძაფრ წინააღმდეგობას.

მესამე რაუნდში ბარანიკოვმა ისარგებლა შედარებით გამოუცდელი მეტოქის ერთადერთი შეცდომით და იგი ნოკდაუნში გაგზავნა. მაგრამ დარბაზში მყოფთ ისეთი აზრი შეექმნათ (და არც თუ უსაფუძვლოდ), თითქოს ეს დრამატული მომენტი მხოლოდ შემთხვევითობით იყო გამოწვეული, მით უმეტეს, რომ მილიუშკოვმა ძველებური ენერგიითა და მიზანსწრაფვით განაგრძო ბრძოლა. როცა რეფერიმ მოკრივეები „დააზავა", გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ მსაჯთა გადაწყვეტილებას. გამარჯვება ბარანიკოვს მიენიჭა. მოკრივემ, რომელმაც წააგო, დამარცხების მიუხედავად მაყურებელთა ერთსულოვანი სიმპათია დაიმსახურა.

განსხვავებულად წარიმართა საქართველოს ჩემპიონის ო. ტიტვინიძისა და ს. აბროსიმოვის ორთაბრძოლა. თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე იგრძნობოდა ახალგაზრდა თბილისელი მოკრივის უპირატესობა. იგი რინგზე მოძრაობდა გააზრებულად, მსუბუქად, ძალდაუტანებლად. ამიტომაც ტიტვინიძის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ეს არ ნიშნავს, თითქოს მან შეხვედრა უბრძოლველად მოიგო. იყო მომენტები, როცა ტიტვინიძის მეტოქე ცდილობდა ინიციატივის ხელში ჩაგდებას. ვფიქრობთ, ამ დროს ტიტვინიძეს თავშეკავებამ უღალატა. ნაცვლად იმისა, რომ კვლავინდებურად წინასწარ სწორად გააზრებული ჩანაფიქრის განხორციელებაზე ეფიქრა, თბილისელმა ზედმეტად გაბედული იერიშები წამოიწყო, რისთვისაც კინაღამ დაისაჯა კიდეც.

სპორტული აზარტი და სიმამაცე მხოლოდ გააზრებული ბრძოლის დროს შეიძლება იყოს სასარგებლო მოკავშირე.

ორი რაუნდი — ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო სურათი: ასეთი გახლდათ სპორტის ოსტატის ა. კუზმინისა და პირველთანრიგოსან ვ. მურადაშვილის ორთაბრძოლის სიუჟეტი. ორივე მოკრივემ პირველ რაუნდში რატომღაც ბრძოლის პასიური ტაქტიკა აირჩია, რაც უფრო დაზვერვას მოგაგონებდათ. მეორე რაუნდის დასაწყისშივე მურადაშვილი სავსებით ვარდაიქმნა: სადღა იყო ის ფლეგმატური მოკრივე, რომელიც „მორჩილად" მიჰყვებოდა პაექრობის მიმდინარეობას. მურადაშვილის ელვისებურმა, დაჯერებულმა და მიზანსწრაფულმა იერიშებმა, ძლიერმა პირდაპირმა დარტყმებმა წონასწორობა დააკარგვინა შეცბუნებულ მეტოქეს. ერთ-ერთი ასეთი უძლიერესი დარტყმის შემდეგ მსაჯმა ბრძოლა შეწყვიტა.

შეუნელებელი იერიშებით წარმართა მთელი შეხვედრა კარგი სპორტული მონაცემების მქონე თბილისელმა გ. რევაზოვმა, რომელმაც ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. ქების მეტი თითქოს რა გვეთქმის ამ სპორტსმენის მიმართ! მართლაც, რევაზოვს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ მომავალში ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს თვით კრივის ცნობილ ოსტატებსაც კი, თუ იგი, ჩვენი აზრით, უფრო მეტად იზრუნებს ტაქტიკური მრავალფეროვნებისთვის. რევაზოვმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ ძლიერი დარტყმა და გამუდმებული იერიშები ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს მოკრივის მაღალ კლასს.

სულ ერთი რაუნდი დასჭირდა გამარჯვებისთვის თბილისელ რ. იუმუკიანს. მან ისე მძაფრად შეუტია მოწინააღმდეგეს, რომ მსაჯმა ბრძოლა პირველივე წუთებში შეწყვიტა.

8:3 — ასეთი იყო ამ ტრადიციული საქალაქთაშორისო შეხვედრის საბოლოო შედეგი. ნიშნავს თუ არა ეს დამაჯერებელი გამარჯვება თვალსაჩინო პროგრესს ჩვენი დედაქალაქის მოკრივეთა მომზადებაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ერთმანეთს ხვდებოდნენ დაახლოებით თანაბარძალოვანი გუნდები. მათი ოსტატობა, რა თქმა უნდა, ვერ დგას თანამედროვე კრივის მკაცრ მოთხოვნათა დონეზე. ეს ჩანდა „შეუიარაღებელი" თვალითაც კი, მაგრამ ერთი ცხადია: ჩვენი მოკრივეები ამთავითვე ხერიოზულად შესდგომიან სსრ კავშირის ხალხთა მომავალი, V სპარტაკიადისთვის მზადებას.

ა. გოგელია.

• • •

გთავაზობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს (პირველად დასახელებული არიან გამარჯვებული მოკრივეები): 51 კგ. ო. ტიტვინიძე (თბილისი) — ს. აბროსიმოვი; 57 კგ. ი. სოლოვიოვი (დონის როსტოვი) — ვ. საპელოკო; 60 კგ. დ. შამოევი (თბილისი) — გ. დუბროვინი; 60 კგ. რ. ჩერნობაი (დონის როსტოვი) — ვ. ლუკიანოვი; 63 კგ. ვ. მურადაშვილი (თბილისი) — ა. კუზმინი; 67 კგ. მ. შამოიანი (თბილისი) — ა. გუსინინი, 67 კგ. გ. რევაზოვი (თბილისი) — ა. შელესტოვი; 71 კგ. ვ. ჩაჩანიძე (თბილისი) — ვ. შიშკინი; 75 კგ რ. იუმუკიანი (თბილისი) — დ. სამოილენკო; 81 კგ. დ. დანილენკო (თბილისი) — ს. პაშჩენკო; 81 კგ და ზევით. ბ. ბარანიკოვი (დონის როსტოვი) — ი. მილიუშკოვი.

• • •



სურათზე: დ. შამოევისა (მარცხნივ) და გ. დუბროვინის ორთაბრძოლის მომენტი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

# მოჭადრაკე ქალთა ფორუმი

მოლდავეთის პატარა ქალაქი ბელცი ხშირად მასპინძლობს სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს. ამ ქალაქში ჭადრაკიც ძალიან უყვართ და სტუმრებიც. აი, ახლაც, ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ სსრ კავშირის ქალთა XXX ჩემპიონატის ფინალი ბელციში დანიშნა.

აქაურები ორი დღეა სტუმრებს ხვდებიან. ჩემპიონატი დღეს აიღებს სტარტს. მასპინძლები ნახავენ გამოჩენილი ოსტატების ა. კუშნირის, ტ. ზატულოვსკაიას, მოსკოვის ჩემპიონ ნ. კონოპლიოვას, მ. რანიკეს, სსრ კავშირის თასის პირველი მფლობელის ტ. ლემაჩკოს, სხვა გამოცდილი ოსტატებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების შეუპოვარ ორთაბრძოლებს. მათ გული სწყდებათ, რომ ვერ იხილავენ თვით ჩემპიონის — ნ. ალექსანდრიას თამაშს, თუმცა იციან, რომ ნანა ვრნიაჩკა-ბანიაში უნდა იბრძოლოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის.

ბელცის და, საერთოდ, მოლდავეთის გაზეთები ბევრს წერენ ჩემპიონატის ირგვლივ. რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს კუშნირის თამაში, ამბობენ, რომ იგი საფუძვლიანად ემზადება პრეტენდენტთა მატჩებისთვის, რათა კვლავ შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს. არანაკლებ საინტერესო იქნება ზატულოვსკაიასა და კონოპლიოვას თამაში. ისინი ხომ მომავალი საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი არიან! ბელცის ტურნირი, მათი სიტყვით, შესანიშნავი საწვრთნელი სარბიელია. გულშემატკივრებს ძალიან აინტერესებთ ლემაჩკოს თამაში — შეძლებს თუ არა თასის პირველი მფლობელი ჩემპიონატში მეტოქეებთან გამკლავებას?

საქართველო ამჯერად ბელცის შეჯიბრებაში მხოლოდ ორი მოჭადრაკითაა წარმოდგენილი. ესენი არიან საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი და ვიცე-ჩემპიონი მ. სანაძე.. პირველი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, მეორე — უნივერსიტეტისა. ბელცში მათ ჩამოჰყვნენ მწვრთნელები — საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი და ოსტატი თ. გიორგაძე. ჩვენი აზრით, ქართველ მოჭადრაკეებს გაუჭირდებათ თავიანთ თანამემამულეთა — ნონასა და ნანას წარმატების გამეორება.

ბელციში იწყება დიდი საჭადრაკო ზეიმი. ეჭვი არ არის, რომ ეს შეჯიბრება მეტისმეტად საინტერესო და მიმზიდველი იქნება.

ი. კოვინი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ბელცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო კალეიდოსკოპი

### მიწაზე დაუშვებლად...

ბრაშოველმა (რუმინეთი) მოსწავლემ დ. კიმპიანუმ საათსა და 45 წუთს არ დაუშვა ბურთი მიწაზე. ამ ხნის განმავლობაში მან 15-მეტრიანი რადიუსის წრეში ბურთი აკენწლა... 14313-ჯერ!

ეს 15 წლის რუმინელი ბიჭუნა გაზეთ „სპორტულის" ტრადიციული კონკურსის გამარჯვებული გახდა ბურთით ჟონგლირებაში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13-18 წლის 18 ყმაწვილი, რომლებმაც ყველას აჯობეს სასკოლო და საფეხბურთო კლუბების შეჯიბრებებში.

II ადგილი დაიკავა 16 წლის კლუჟელმა ი. კოსტინმა — 9757 აკენწვლა.

„რესპუბლიკის" უდიდეს სტადიონზე გამართული ამ კონკურსის ლაურეატებს რუმინელმა მწვრთნელებმა დაადგეს თვალი: ჟონგლიორები დროთა ვითარებაში ხომ კარგი ფეხბურთელებიც შეიძლება გახდნენ.

## პოლონეთში პირველი

*ვარშავა, 18 ნოემბერი. ქალაქ რაბკაში (კრაკოვის სავოევოდო) „ვერხის" სტადიონზე მოეწყო პოლონეთში პირველი ხელოვნური ნათხილამურევი. 500-მეტრიანი უხეში ქსოვილი, რომელიც სინთეტური შემადგენლობითაა გაჟღენთილი, პირდაპირ წიდოვან ბილიკზე დააგეს.*

*ახალ სარბიელზე მოწყობილ პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნათხილამურევის შემქმნელები — ინჟინრები და ტექნიკოსები.*

*წარმატებამ ააგულიანა ენთუზიასტები. ახლა მათ განზრახული აქვთ მოაწყონ რამდენიმე 100 მეტრიანი სათხილამურო ბილიკი სავოევოდოს სასკოლო სტადიონებზე.*

### თუ მოწვევაა, ვარსკვლავები მოვიწვიოთ

იტალიელი „ტიფოზები" სულ უფრო აქტიურად გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას მატჩების დაბალი შედეგიანობის გამო. „თუ ჩვენს ფეხბურთელებს არ შეუძლიათ გოლების გატანა, მაშინ კლუბებმა უცხოელები მოიწვიონ", — აცხადებენ გულშემატკივრები. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს მხოლოდ მათს სურვილად რჩება — იტალიურ ფეხბურთში არსებული წესის თანახმად უცხოელი ფეხბურთელების მოწვევა აკრძალულია.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტებმა გადაწყვიტეს ამ საკითხზე მოწინავე მოთამაშეებისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა აზრი გაეგოთ.

აი, რა თქვა იტალიის ნაკრების წევრმა ლ. რივამ: „ყოველ გუნდს თითო უცხოელი ფეხბურთელის მოწვევის ნება უნდა დაერთოს. მაგრამ ესენი უნდა იყვნენ ნამდვილი ვარსკვლავები, ისეთები, როგორიც არიან ეუსებიო, პელე, ბეკენბაუერი ან ბობი ჩარლტონი".

„თითო ვარსკვლავის" მომხრეა ბევრი სხვა მოთამაშეც, მაგალითად, მაცოლა და ფაკეტი.

სამაგიეროდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ა. ფრანჩიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „მხოლოდ მას შემდეგ, რაც იტალიური ფეხბურთი წმინდა ეროვნული გავხადეთ, ქვეყნის ნაკრებმა შეძლო ევროპის ჩემპიონის სახელის მოხვეჭა და ვერცხლი მოიპოვა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. თანაც, ვარსკვლავების მოწვევა მხოლოდ მდიდარ კლუბებს ძალუძთ. უცხოელები ახალგაზრდა იტალიელი მოთამაშეების ზრდას დაამუხრუჭებენ".

### ბრაზილიელები ხმას აძლევენ... ფეხბურთელებს

ბევრმა ბრაზილიელმა, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ მთავრობის ცენტრალურ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ხალხის ნამდვილი წარმომადგენლების გაყვანას, უკანასკნელი არჩევნების დროს ბიულეტენებში ჩაწერა... ფეხბურთელთა გვარები.

საარჩევნო ურნებში აღმოჩნდა წინადადებებიც, როგორ შეადგინონ ქვეყნის ნაკრები მომავალი შეჯიბრებებისთვის, ამავე დროს, გამოირკვა ვინ არის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი ბრაზილიაში. უმრავლესობამ პირველ ნომრად დაასახელა პელე, მეორე ნომრად — ტოსტაო.

ხელისუფლებმა „საფეხბურთო" ბიულეტენები უკანონოდ ცნეს.

### მეოთხედფინალებში...

პარიზში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალური სტადიების კენჭისყრა.

მომავალი მატჩების მონაწილენი ასე დაწყვილდნენ:

ჩემპიონთა თასი: „კარლ ცაისი" (გდრ) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია), „აიაქსი" (ჰოლანდია) — „სელტიკი" (შოტლანდია), „ევერტონი" (ინგლისი) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), „ატლეტიკო" (ესპანეთი) — „ლეგია" (პოლონეთი).

თასების მფლობელთა თასი: „გურნიკი" (პოლონეთი) — „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი), „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ფორვერტსი" (გდრ), „ბრიუგე" (ბელგია) — „ჩელსი" (ინგლისი), „რეალი" (ესპანეთი) — „კარდიფ სიტი" (უელსი).

მეოთხედფინალური მატჩები 1971 წლის 10 და 24 მარტს გაიმართება.

### ამხანაგური შეხვედრები

ბეირუთი, 18 ნოემბერი. ერევნის „არარატმა" აქ ანგარიშით 7:1 დაამარცხა ლიბანის ჩემპიონი — ადგილობრივი „რესინგი".

ზაგრები, 19 ნოემბერი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 (0:0) სძლია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს. ბურთები გაიტანეს ბუკალმა და ჯაიჩმა. მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ბერლინი, 19 ნოემბერი. მოსკოვის ცსკა-მ აქ მარცხის სიმწარე იწვნია გდრ-ის ჩემპიონატის ლიდერთან — ადგილობრივ „ფორვერტსთან" თამაშში — 2:3 (1:2). არმიელთაგან ბურთები გაიტანეს სტარკოვმა და სუხორუკოვმა.

ლესტერი, 19 ნოემბერი. ინგლისის ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის „დინამოს" გამოსვლამ. მისი მეტოქე იყო „ლესტერ სიტი". ანგარიშით 2:0 (1:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ჰავანა, 19 ნოემბერი. კუბაში თავისი ტურნეს პირველი მატჩი ლვოვის „კარპატიმ" „ლატინოამერიკის" სტადიონზე წააგო ქვეყნის ნაკრებთან — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი 58-ე წუთზე გაიტანა მასპინძელთა თავდამსხმელმა ფარინასმა.

## 8 ბურთი ერთ თამაშში

*ვენა, 19 ნოემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 5:3 დაამარცხა ადგილობრივი „რაპიდი", რომელიც ავსტრიის ჩემპიონატში ლიდერობს.*

*სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და „რაპიდის" კარის საიმედობა შორეული დარტყმებით მოსინჯეს. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, უტევდა ერთი გუნდი, ბურთი კი მეორემ გაიტანა: მე-15 წუთზე ავსტრიელებმა უეცარი კონტრშეტევა განახორციელეს და ნახევარმცველმა ფლიოგელმა, რომელმაც კარგად გამოიყენა საბჭოთა გუნდის მცველთა შეუთანხმებელი მოქმედება, ანგარიში გახსნა.*

*27-ე წუთზე სადემონსტრაციო ტაბლოზე მეორე ერთიანიც გამოისახა: მუნტიანმა 30 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ანგარიში გაქვითა.*

*მთავარი ამბები შესვენების შემდეგ მოხდა. როგორც კი განახლდა თამაში, ისტომინმა საბჭოთა ნაკრები დააწინაურა (2:1), ერთი წუთის შემდეგ კი ევრიუჟიხინმა მასპინძლებს მესანედ დააწყებინა ცენტრიდან თამაში.*

*ამგვარმა ვითარებამ ერთგვარად გაანელა სტუმრების მონდომება: მათ საგრძნობლად უკლეს ტემპს, როგორღაც დამშვიდდნენ. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა „რაპიდმა" და მძაფრად შეუტია მეტოქის კარს: 64-ე წუთზე ფლიოგელმა თავური დარტყმით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, ხოლო ერთი წუთის შემდეგ ავსტრიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბიერეჰაარდმა ანგარიში სულაც გაქვითა — 3:3.*

*ბოლო 20 წუთი გუნდებმა ორმხრივ იერიშებში გაატარეს, მაგრამ უპირატესობას უმეტესად სტუმრები ფლობდნენ. 73-ე წუთზე ევრიუჟიხინმა კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე შევჩენკომ „რაპიდის" კარში მეხუთე ბურთი გაიტანა.*

*მატჩს სჯიდა ავსტრიელი არბიტრი შილერი.*

*საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი (ძოძუაშვილი), მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი (პაპაევი), შევჩენკო, კოპეიკინი (დუდარენკო), ევრიუჟიხინი. ყველა შეცვლა შესვენების შემდეგ მოხდა.*

# 8 ტურის შემდეგ

*მსოფლიო პირველობაზე საზონათშორისო ტურნირის დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, მონღოლი მოჭადრაკე ტ. უიტუმენი ლიდერებში მოხვდება და სტარტის გმირი იქნებაო, ასეთ კაცს ჭადრაკის უცოდინარობას დასწამებდნენ. და აი, სწორედ სტარტის პირველი სენსაციის ავტორი უიტუმენი გახდა. მან სძლია ისეთ ცნობილ დიდოსტატებს, როგორიც არიან ამერიკელი ს. რეშევსკი და იუგოსლაველი მ. მატულოვიჩი, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ლ. პოლუგაევსკისთან და იუგოსლაველ ს. გლიგორიჩთან. მართალია, მონღოლმა საერთაშორისო ოსტატმა შემდეგ წააგო არგენტინელ ო. პანოსთან და იუგოსლაველ ბ. ივკოვთან, მაგრამ ეს წაგებები სრულფასოვანი ბრძოლის შემდეგ მოხდა. ასე რომ, პროგნოზების მოყვარულთ უიტუმენმა საკმაოდ გაუფუჭა გუნება. სამაგიეროდ, სრული მოულოდნელობა გახლდათ ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის ვ. ჰორტის წარუმატებლობა. ამრიგად, ამ ტურნირმაც დაადასტურა, რომ პროგნოზები სამიში „ხელობაა".*

*VI ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 3 დასამთავრებელი პარტია ჰქონდა უ. ადისონს. მაგრამ იგი სათამაშოდ მხოლოდ ი. რუბინეტის წინააღმდეგ დაჯდა და პირველი ქულაც მოიხვეჭა. დანარჩენი ორი შეხვედრა (ვ. ულმანთან და რ. ჰიუბნერთან) მან თამაშის განუახლებლად დათმო.*

*ლ. პოლუგაევსკი—ბ. ლარსენის პარტიაში 63-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ასეთივე შედეგით დამთავრდა მატულოვიჩ — დ. სათლზის შეხვედრა. ლ. პორტიშმა მოუგო ე. მეკინგს.*

*შედგა აგრეთვე ჰორტ—რ. ფიშერის გამოტოვებული პარტია. მე-40 სვლაზე იგი გადაიდო. 78-ე სვლაზე კვლავ გადაიდო ლარსენ — ულმანის პარტია. არ შედგა რეშევსკი — დ. მინიჩის შეხვედრა.*

*VII ტურში ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ლიდერების შეხვედრები იყო. ამერიკელი ფიშერი იუგოსლაველ მატულოვიჩს შეხვდა. პარტია არ დამთავრებულა. შეწყვეტილ პოზიციაში იუგოსლაველს ოდნავი უპირატესობა აქვს. ე. გელერ — უიტუმენის გადადებულ პარტიაში უპირატესობა საბჭოთა დიდოსტატის მხარეზეა. ვ. სმისლოვმა 39-ე სვლაზე დაამარცხა ადისონი.*

*მ. ტაიმანოვს ზედმეტი პაიკი აქვს ლარსენთან გადადებულ პოზიციაში.*

*მეტად საჭირო გამარჯვება იზეიმა ულმანმა პორტიშთან შეხვედრაში. რ. ნარანიამ მოუგო სათლზს.*

*პოლუგაევსკი უკვე მე-14 სვლაზე შეუთანხმდა ყაიმზე რუბინეტის. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ჰიუბნერ — გლიგორიჩის, მ. ფილიპ—რეშევსკისა და მინიჩ — მეკინგის შეხვედრები. ჰორტ — პანოსა და ე. ხიმენეს—ივკოვის პარტიები გადაიდო.*

*VIII ტური ლიდერებისთვის ერთობ მშვიდობიანი გამოდგა: ყაიმით დამთავრდა ნარანია — ფიშერის, გელერ — რუბინეტის, ლარსენ — სათლზის, გლიგორიჩ — სმისლოვის, რეშევსკი — ჰორტისა და მატულოვიჩ — ფილიპის შეხვედრები.*

*ივკოვმა მოუგო უიტუმენს, მინიჩმა — ხიმენესს.*

*პანო — ჰიუბნერის, პორტიშ — ტაიმანოვის, პოლუგაევსკი — ულმანისა და მეკინგ — ადისონის პარტიები გადაიდო.*

| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლუგაევსკი | (სსრკ) | 1 | ■ | ½ | ½ | | | ½ | ½ | • | | | | | | | | | | | | | | ½ | 1 | ½ | 4 (1) | |
| გელერი | (სსრკ) | 2 | ½ | ■ | | | ½ | • | ½ | | | | | | | | | | | | | | 1 | ½ | ½ | 1 | 4½ (1) | |
| ივკოვი | (იუგოსლ.) | 3 | ½ | | ■ | ½ | • | 1 | | | | | | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | | 4 (1) | |
| მინიჩი | (იუგოსლ.) | 4 | | | ½ | ■ | 1 | | | | | | | | | | | | | | • | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 4 (1) | |
| ხიმენესი | (კუბა) | 5 | | ½ | • | 0 | ■ | | | | | | | | | | | | | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | | | 1½ (1) | |
| უიტუმენი | (მონღოლეთი) | 6 | ½ | • | 0 | | | ■ | | | | | | | | | | | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | | | | 4 (1) | |
| რუბინეტი | (არგენტინა) | 7 | ½ | ½ | | | | | ■ | | | | | | | | | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 0 | | 2½ | |
| ულმანი | (გდრ) | 8 | • | | | | | | | ■ | | | | | | | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | | | • | 1 | | 4½ (2) | |
| ტაიმანოვი | (სსრკ) | 9 | | | | | | | | | ■ | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | | ½ | • | • | | 3 (2) | |
| სათლზი | (კანადა) | 10 | | | | | | | | | | ■ | | | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | | | ½ | 0 | ½ | | | 3½ | |
| ფიშერი | (აშშ) | 11 | | | | | | | | | | | ■ | 1 | • | ½ | 1 | 1 | | | 1 | • | ½ | | | | 5 (2) | |
| ფილიპი | (ჩეხოსლ.) | 12 | | | | | | | | | | | 0 | ■ | ½ | ½ | 0 | | | ½ | ½ | ½ | | | | ½ | 3 | |
| ჰორტი | (ჩეხოსლ.) | 13 | | | | | | | | | | ½ | • | ½ | ■ | ½ | | | 0 | • | ½ | | | | | 0 | 2 (2) | |
| ჰიუბნერი | (გფრ) | 14 | | | | | | | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ■ | | • | ½ | • | | | | | | | 3 (2) | |
| სმისლოვი | (სსრკ) | 15 | | | | | | | | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | | | ■ | 1 | ½ | | | | | | | 0 | 4 | |
| ადისონი | (აშშ) | 16 | | | | | | | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | | | • | 0 | ■ | | | | | | | | • | 1½ (2) | |
| გლიგორიჩი | (იუგოსლ.) | 17 | | | | | | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | | | 1 | ½ | ½ | | ■ | | | | | | | | 5 | |
| პანო | (არგენტინა) | 18 | | | | | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | | | ½ | • | • | | | | ■ | | | | | | | 4 (2) | |
| რეშევსკი | (აშშ) | 19 | | | | • | 1 | 0 | ½ | ½ | | | 0 | ½ | ½ | | | | | | ■ | | | | | | 3 (1) | |
| მატულოვიჩი | (იუგოსლ.) | 20 | | | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | | | ½ | • | ½ | | | | | | | | ■ | | | | | 3 (1) | |
| ნარანია | (ფილიპინები) | 21 | | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | | | ½ | 1 | ½ | | | | | | | | | | ■ | | | | 3½ | |
| ლარსენი | (დანია) | 22 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | | | • | • | ½ | | | | | | | | | | | | ■ | | | 3½ (2) | |
| პორტიში | (უნგრეთი) | 23 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 1 | 0 | • | | | | | | | | | | | | | | ■ | 1 | 3½ (1) | |
| მეკინგი | (ბრაზილია) | 24 | ½ | 0 | | ½ | | | | | | | | ½ | 1 | | 1 | • | | | | | | | 0 | ■ | 3½ (1) | |

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირი

21 ნოემბერი
საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები — „იმედის" ნაკრები

22 ნოემბერი
„დინამო" (სათადარიგო შემადგენლობა) — „ბ" კლასის II ნაკრები

მატჩების დასაწყისი 13 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 81 უე 10609